ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №88

28 თებერვალი 2025 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი,ნინო ვარდოსანიძე, რავაზ სოხაძე.

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები - გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები -სერგო ბირკაძე,თათია ბარაქაძე
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი- ნინო ბაგაშვილი
სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე
სხდომის თვამჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება. **საკრ.№15-032505569-03 24/02/2025)**
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.**საკრ.№15-0325058185-03 (11-01250583174 27/02/2025)**

3. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (EBRD) გრანტის მიღებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის „GrCF2 W1 - თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი – პროექტის განხორციელების მხარდაჭერის“ შესახებ გრანტის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.**საკრ.№12-032505035-03 19.02.2025**
4. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. **საკრ.№12-03250582-03 27.02.2025**
5. 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის ს/კ: 01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032504883-03 17.02.2025**

6. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მშენებარე ფართის (მდებარე: ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა N61, ბლოკი C3, სართული 8, ბინა N165, ს/კ N01.14.06.004.004.03.01.165) კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირის-მანანა მაჭავარიანის (პ/ნ 01018003382) უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ"**საკრ.№12-032505167-03 21.02.2025**

7. ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N26-ში არსებული 1457 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.126) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.**საკრ.№12-032505166-03 21.02.2025**

8. ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N1-13-ის მიმდებარედ არსებული 1810 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.14.005.084) 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ქეთევან გოროზიასთვის (პ/ნ: 01024009616) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032503090-03 3.02.2025**

9. ქალაქ თბილისში, გიორგი ათონელის ქ. N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნათია კვარაცხელიასთვის (პ/ნ: 01031004179) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03250311-03 31.01.2025**

10. ქ. თბილისში, გამრეკელის ქუჩა N9-ის მიმდებარედ 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.031.046) პირდაპირი განკარგვის წესით, დავით აბაშიძისთვის (პ/ნ: 01010014918) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03250351-03 3.02.2025**

11. ქ. თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N650-ის მიმდებარედ 46 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.13.038.058) პირდაპირი განკარგვის წესით სს „სუში მანიასთვის" (ს/კ: 405252471) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03250351-03 3.02.2025**

12. ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.004.047) 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნიუ ბიგბენისთვის" (ს/ნ: 405514180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.**საკრ.№12-0325037100-03 7.02.2025**

13. ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N31-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯიოსისთვის" (ს/ნ: 405150447) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-0325038104-03 7.02.2025**

14. ქალაქ თბილისში, ერისთავ-ხოშტარიას ქ. N2-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.037.050) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ხოშტარია 2"-ისთვის (ს/ნ: 404589147) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032505154-03 20.02.2025**

15. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ბესიკის ქუჩა N9-ში არსებული 66.51 კვ.მ ფართის (მათ შორის 3.5 კვ.მ ბაქანი) (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.056.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032503435-03 3.02.2025**

16. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში არსებული 44.98 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1071) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.**საკრ.№12-032503435-03 3.02.2025**

17. ,,ქალაქ თბილისში, ვარკეთილის 3-ის, მე-4 მიკრორაიონის N425ა-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.002.027.04.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“**საკრ.№12-0325038103-03 7.02.2025**

18. ,,ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.027) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-0325038103-03 7.02.2025**

19. ,,ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N4დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.161.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.**საკრ.№12-0325038103-03 7.02.2025**

20. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლებაში, I მიკრო / რაიონის კორპუს N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.018) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032433332-03 28.11.2024**

21. ,,ქალაქ თბილისში, შალვა ჭანკოტაძის ხეივანი N25-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.015.058) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.**საკრ.№12-032504941-03 19.02.2025**

22. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032505166-03 21.02.2025**

23. ,,ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.005.009.02.504) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.***საკრ.№*12-032505168-03 21.02.2025**

24. ,,ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N62-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.003.01.544) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-032505168-03 21.02.2025**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძემ.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2025 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (2 085,7 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 600,0 ათასი ლარით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 30 იანვრის N1/ნ ბრძანება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2025 წლის 4 თებერვლის N15-01250351692 წერილი). შესაბამისად,

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 2 685,7 ათასი ლარით და შეადგენს 2 195 548,6 ათას ლარს.
ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 983 778,0 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 211 770,6 ათასი ლარით.
შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 903 778,0 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:
გადასახადები 987,349.2 ათასი ლარი, მათ შორის:
საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 255 000,0 ათასი ლარი;
ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 45 000,0 ათასი ლარი;
მიწაზე ქონების გადასახადი – 20 000,0 ათასი ლარი;
დამატებული ღირებულების გადასახადი – 667 349,2 ათასი ლარი.
გრანტები 594 813,2 ათასი ლარი, მათ შორის:
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 430,0 ათასი ლარი;
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად 1 083,2 ათასი ლარი;
კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 580 000,0 ათასი ლარი;
სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 13 300,0 თასი ლარი.
სხვა შემოსავლები 321 615,6 ათასი ლარი, მათ შორის:
შემოსავალი საკუთრებიდან – 16 000,0 ათასი ლარი;
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 60 000,0 ათასი ლარი;
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 80 000,0 ათასი ლარი;
სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 115 000,0 ათასი ლარი;
სანებართვო მოსაკრებელი - 23 791,4 ათასი ლარი;
სხვადასხვა შემოსავლები – 26 824,2 ათასი ლარი.
წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 195 548,6 ათასი ლარით,
იზრდება საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისი რაიონში (კოდი 02 09 18) – 880,4 ათასი ლარით, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 05) – 567,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 600,0 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) – 38,3 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 30,0 ათასი ლარით.
ამასთან, ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ემატება ახალი ქვეპროგრამა - პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 27) – 600,0 ათასი ოდენობით.
მცირდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 30,0 ათასი ლარით,
გარდა ამისა, სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი (კოდი 08 01 05) ქვეპროგრამის ფარგლებში, გაიზარდა ა(ა)იპ სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრის მომუშავეთა რიცხოვნობა ერთი

ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4971 ერთეულით.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N49-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაზიოზ თალაკვაძის მოხსენებით, სამგორის, დიდუბის, კრწანისის და ნაძალადევის რაიონებში მოსალოდნელია გზების მოვლა-შეკეთების სამუშაოების შესრულება, დაგემილთან შედარებით ადრე,რისთვისაც ითხოვენ პირველ კვარტალში ასიგნებების გაზრდას მომდევნო კვარტლის ასიგნებების შემცირების ხარჯზე.

ასევე იზრდება ისნის, ნაძალადევის, დიდუბის და კრწანისის რაიონების კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამის პირველი კვარტლის ასიგნებები, გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლებისა და სტადიონების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის; ჭიჭიკო ბენდელიანის ქუჩა N18ა-ში მდებარე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოების აღდგენის მიზნით, საკანალიზაციო და სადრენაჟე ქსელის მოწყობის მიზნით,დაზიანებული შენობა-ნაგებობების დროებითი წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების, დემონტაჟისა და სხვა თანმდევი სამუშაოებისათვის,ასევე რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში, სპორტულ და საბავშვო-გასართობ მოედნებზე დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა-შეკეთების და ხეების სხვლა-ფორმირების სამუშაოებისათვის.

იზრდება ასევე დიდუბის,ჩუღურეთის და მთაწმინდის რაიონების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის პირველი კვარტლის ასიგენებები.თანხების გადმოტანა ხდება მომდევნო კვარტლის გეგმიდან.

მომხსენებელმა დაწრვრილებით ისაუბრა აღნიშნულ გადანაწილებაზე.

გარდა ამისა ხდება წლიური გეგმის ცვლილება.იზრდება პროგრამის „სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი 08 06 04) წლიური ასიგნება 600 000 ლარით, ქ. თბილისში, ვერის ბაღში, (კოსტავას ქუჩა #35) მდებარე ჩოგბურთის კორტებისა და ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის.

პროგრამის :სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ხელშეწყობა“ (პროგ/კოდი 0806 04)-700 000 ლარით,სოფ.დიღომში სპორტკომპლექსის დამატებითი სარემონტო სამუშაოებისათვის და ინვენტარის შესაძენად.

დაბალანსება ხდება პროგრამის „სპორტული მოედენების მშენებლობა და რეკოსნტრუქცია“ (პროგ/კოდი 08 06 08) –წლიური ასიგნების 1 100 000 ლარით და პროგრამის „ახალგაზრდობის ხელშეწყობა“ (პროგ/*კოდი 08 08 01)- წლიური ასიგნების 200 000 ლარით შემცირების ხარჯზე. (ვარკეთილში მდებარე „ედელვაისის“ მოედნის რეაბილიტაციის ნაცვლად განხორციელდება სპორტული კომპექსის მშენებლობა სხვა ტერიტორიაზე, რაც იწვევს ეკონომიას აღნიშნულ პროგრამაში.

საერთო ჯამში გადასახდელების პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 6 426197 ლარით. დაბალანსება ხდება კაპიტალური გრანტის პირველი კვარტლის გეგმის 3 372260 ლარით გაზრდისა და ნაშთის 3053937 ლარით ცვლილებით.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (EBRD) გრანტის მიღებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის „GrCF2 W1 - თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი – პროექტის განხორციელების მხარდაჭერის“ შესახებ გრანტის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი- ნინო ბაგაშვილი

მომხსენებლის განმარტებით, 2023 წლის 17 იანვარს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) გააფორმა სასესხო შეთანხმება საქართველოსთან, რომელიც მოქმედებს როგორც მსესხებელი. ამ შეთანხმების საფუძველზე, EBRD დათანხმდა, რომ საქართველოსთვის მიეცა სესხი, რომლის ოდენობა არ აღემატება 50,600,000 ევროს (ორმოცდაათი მილიონი და ექვსასი ათასი ევრო), ქალაქ თბილისში მეტროსადგურების განახლებისა და რეაბილიტაციის („პროექტი“) დასაფინანსებლად.

2023 წლის 17 იანვარს, EBRD-მა და მსესხებელმა გააფორმეს გრანტის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც EBRD დათანხმდა, რომ EBRD-GCF სპეციალური ფონდიდან გამოყოფდა გრანტს, რომლის ოდენობა არ აღემატება 5,000,000 ევროს (ხუთი მილიონი ევრო) („GCF გრანტი“) პროექტის პირველი ნაწილისთვის საჭირო საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურებების დასაფინანსებლად.

ამავე წლის 1 თებერვალს, EBRD-მ გააფორმა: (i) პროექტის მხარდამჭერი შეთანხმება მიმღებთან და (ii) პროექტის განხორციელების შეთანხმება პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან, რომლის შესაბამისადაც, მიმღები და პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია დაეთანხმნენ პროექტის განხორციელებას პროექტის მხარდამჭერი შეთანხმებისა და პროექტის განხორციელების შეთანხმების პირობების შესაბამისად.

მიმღებმა, პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ და მსესხებლის ფინანსთა სამინისტრომ გააფორმეს ქვესესხის შეთანხმება („ქვესესხის შეთანხმება“) და ფონდების გადარიცხვის შეთანხმება („ფონდების გადარიცხვის შეთანხმება“), რომლის მიხედვითაც, მსესხებელმა მიაწოდა მიმღებს სესხისა და GCF გრანტის თანხები პროექტის განსახორციელებლად. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაარსების შესახებ შეთანხმების მე-18 მუხლის საფუძველზე, EBRD-მა მისი მართვისა და ადმინისტრირების ქვეშ დააფუძნა EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდი . ფონდის მართვის პირობებისა და წესების შესაბამისად, EBRD დათანხმდა, რომ მიმღებს გამოუყოფს გრანტს, რომლის ოდენობა

შეადგენს მაქსიმუმ 500,000 ევროს (ხუთასი ათასი ევრო), ფონდის რესურსებიდან, ამ შეთანხმებაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, რათა დააფინანსოს კონტრაქტი („კონსულტაციის გაწევის შესახებ კონტრაქტი"), რომლის ფარგლებშიც კონსულტანტი პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციას გაუწევს ტექნიკურ დახმარებას პროექტთან დაკავშირებით.
შესათანხმებლად წარმოდგენილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების პროექტი „GrCF2 W1 - თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი – პროექტის განხორციელების მხარდაჭერის" შესახებ განკარგულების დანართის შესაბამისად.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (EBRD) გრანტის მიღებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის „GrCF2 W1 - თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი – პროექტის განხორციელების მხარდაჭერის" შესახებ გრანტის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე. საკრებულოს განკარგულების **პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**
დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა სერგო ბირკაძემ.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N24.2395.2690 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 იანვრის N18 განკარგულებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში 2025 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო რეორგანიზაცია და სააგენტოს დაევალა კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის №13-42 დადგენილება მიღებულია 2018 წელს. სწორედ აღნიშნული დოკუმენტით დადგინდა სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიზნები, სააგენტოს ფუნქციები და აღნიშნული ფუნქციების გადანაწილება მის სტრუქტურულ ერთეულებს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართვის პოლიტიკის ძირეული რეფორმის განხორციელებიდან გავიდა 6 წელზე მეტი, განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, საჭიროა კვლავ მოხდეს ამ მიმართულების გადახედვა და გაუმჯობესება, რათა ხელი შეეწყოს არსებული და დაგეგმილი პროექტების კიდევ უფრო ეფექტიანად განხორციელებას და ინოვაციური სერვისების შეთავაზებას.
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების წარმოდგენილი პროექტი, ითვალისწინებს სამსახურის

საქმიანობის, მართვის ეფექტურობის, მოქალაქეებისათვის სერვისების მიწოდების გამარტივებისა, სტრუქტურის განახლებისა და კიდევ უფრო მეტად მოქნილობის მიზნებიდან გამომდინარე, ცვლილებებს, მათ შორის დებულებაში ისეთი ფუნქციების დამატებას, რომელსაც სამსახურები ფაქტობრივად ახორციელებენ. კერძოდ, მოადგილეს, რომელიც იმავდროულად ითავსებდა სამსახურის უფროსის ფუნქციებს/თანამდებობას(სააგენტოს უფროსის მოადგილე/სამსახურის უფროსი) გამოეყო სამსახურის უფროსის ფუნქციები/თანამდებობა და დებულების ახალ რედაქციაში ჩამოყალიბდა, მხოლოდ სააგენტოს უფროსის მოადგილის სტატუსით, ხოლო სააგენტოს სტრუქტურა წინამდებარე ცვლილების საფუძველზე ჩამოყალიბდა/დაზუსტდა სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების სახით.
გარდა ამისა, დებულების ახალი რედაქციით უქმდება სააგენტოს უფროსის აპარატი, ვინაიდან მისი ფუნქციური და სტრუქტურული შინაარსის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის სახით არსებობა.
ამასთანავე, წარმოდგენილი პროექტით, დებულებაში დაზუსტდა სააგენტოსა და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, აისახა დებულების სხვადასხვა მუხლებში, იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეულ მუხლებში და სტრუქტურიზაციის თვალსაზრისით, მათ შორის ტექნიკურ ნაწილში ბევრი ცვლილებაა, ხორციელდება არსებული დებულების (დანართის) ახალი რედაქციით ჩამოყალიბება.
მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა: ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის **საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში" ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის" (ს/ნ 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის ს/კ: 01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2021 წლის 23 აპრილს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020"-ს (უფლებამონაცვლე: შპს „ალფა ფროფერთი") შორის 2021 წლის 29 აპრილს დაიდო „პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება", რომლითაც მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე 26 132 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (№1-დან №13-ის ჩათვლით) (მიწის ნაკვეთის ს/კ: 01.16.03.058.062) , ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით. აუქციონის შედეგების შესაბამისად, საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 1 526 632 ლარის ოდენობით, რაც მყიდველის მიერ გადახდილია.
ხელშეკრულებითა და შეთანხმებით მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა პრივატიზებულ ქონებაზე არანაკლებ 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის, უფლებრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, მშენებლობადასრულებულ შენობა-ნაგებობაში გადაცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ან მის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პირებისათვის,

არაუგვიანეს 2025 წლის 29 აპრილისა, ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
პრივატიზებულ ქონებაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.
 განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება განხორციელდა ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში (ს/კ: №01.16.04.048.003) არსებულ ავარიულ (III კატეგორია) შენობაში მცხოვრები მოსახლეობის ალტერნატიული (სანაცვლო) ფართებით დაკმაყოფილების მიზნით და მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით. ამასთან, სააგენტოში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2021 წლის 25 მარტის და 2023 წლის 28 თებერვლის კორესპონდენცია, რომელიც ადასტურებს, რომ ხელშეკრულების ფარგლებში შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული პროექტის განხორციელება ემსახურება ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში (ს/კ: №01.16.04.048.003) მდებარე მიწის ნაკვეთსა და პრივატიზებულ ქონებაზე არსებული შენობა-ნაგებობების მაცხოვრებლების დაკმაყოფილების მიზანს.
შესაბამისად, ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული გადმოსაცემი 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის ნაწილის საბოლოო მიმღებ პირებად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ერთად, მოიაზრება: ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეები, ასევე პირები, რომელთაც, თვითნებურად/საკუთრების უფლების რეგისტრაციის გარეშე/ფაქტობრივად აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართები პრივატიზებულ ქონებასა და ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში. აღნიშნულ პირთა მონაცემები, მათ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული და მათთვის გადასაცემი ფართები საჭიროებს დაზუსტებას, რის გამოც, შეთანხმების პირობების თანახმად, აღნიშნულ პირთა სია და მათ მიერ მისაღები ფართების მონაცემების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია სააგენტოს მიერ მყიდველს უნდა წარედგინოს დამატებით.
შეთანხმება ითვალისწინებს მესაკუთრეებისა და მფლობელების დაკმაყოფილებას როგორც ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართიდან ნაწილის გადაცემით, ისე, მყიდველის მიერ ალტერნატიული შესრულების (მათ შორის, სათანადო ფულადი ანაზღაურების) განხორციელების გზით. შესაბამისი ფართების (ან ალტერნატიული შესრულების) მიღების სანაცვლოდ, მესაკუთრეებმა მუნიციპალიტეტს უნდა გადასცენ საკუთრების უფლება ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან მათ საკუთრებაში არსებულ ფართებზე (და მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე), ხოლო მფლობელებმა უარი უნდა განაცხადონ მათ მიერ თვითნებურად დაკავებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ყოველგვარ მოთხოვნის უფლებაზე. შესაბამისი ფართების მიღების სანაცვლოდ, აღნიშნული პირები ასევე გამოათავისუფლებენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს, კერძოდ, აღნიშნული პირები №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით არსებულ უძრავ ქონებაში მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს მფლობელობაში გადასცემენ მუნიციპალიტეტს, ხოლო პრივატიზებულ ქონებაზე ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს - მყიდველს. აღნიშნული პირობები, შეთანხმების თანახმად, გათვალისწინებული უნდა იყოს მყიდველსა და მესაკუთრეებს/მფლობელებს შორის გასაფორმებელ შესაბამის ხელშეკრულებებში. ამასთან, ზემოაღნიშნული 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართიდან, ის ნაწილი, რომლებიც არ გადაეცემა მესაკუთრეებს/მფლობელებს, ასევე ის ფართები, რომელთა მიმღები პირებიც (მესაკუთრეები/მფლობელები) უარს იტყვიან შესაბამისი პირობებით ქონების მიღებაზე (მყიდველთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე), გადაეცემა მუნიციპალიტეტს.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქონების მიმღებ პირთა ნაწილი განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის კორესპონდენციისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად. ამასთან, იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას მყიდველთან ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან, ან/და არ შეასრულებენ შეთანხმებით გათვალისწინებული შესრულების (ქონების გადაცემა ან ალტერნატიული შესრულება) მიღების საპრივატიზებო პირობებს, განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიება უქმდება და შესაბამისი ქონების მიმღებად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

მომხრე-6 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყდა: 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის ს/კ: 01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე, **საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მშენებარე ფართის (მდებარე: ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა N61, ბლოკი C3, სართული 8, ბინა N165, ს/კ N01.14.06.004.004.03.01.165) კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირის-მანანა მაჭავარიანის (პ/ნ 01018003382) უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ”.

სერგო ბირკაძის მოხსენებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „გრინ ქეფითალს“ შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმდა „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში / ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103 443 კვ.მ) (წინა საკადასტრო კოდები: 01.14.06.003.058; 01.14.06.003.003; 01.14.06.003.004; 01.14.06003.060; 01.14.06.006.127) და 01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის / მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისთვის“ (ს/ნ 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება რომლის თანახმად, კოოპერატივის წევრებმა, განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

„ქ. თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N61-ში მდებარე, N01.14.06.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებულ ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის **19 (ცხრამეტი) წევრს,** მათ შორის - მანანა მაჭავარიანს.

განკარგულებების გამოცემის შემდგომ, ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ეტაპზე, სააგენტოსთვის ცნობილი გახდა, რომ მანანა მაჭავარიანი გარდაიცვალა.

